დიფერენცირებული სწავლების პრინციპები

თანამედროვე განათლების სისტემა, რომლის ცენტრშიც დგას მოსწავლე, ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, რომელშიც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობა იქნება დადგენილი, შეთავაზებული იქნება იმგვარი სასწავლო რესურსები და მეთოდები, რომ ყოველმა მათგანმა შეძლოს განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად კი დღეს უფრო და უფრო აქტუალური ხდება დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გამოყენება.

რა არის დიფერენცირებული სწავლება? როგორია მისი როლი საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში და რა გამოცდილებას გვიზიარებენ ისინი.

პროფესიული სწავლების თემების (PLC) რეგიონული მენეჯერი შაინ ლოკჰარტი განმარტავს, რომ დიფერენცირება არის ძირითადი ,მაღალი ზემოქმედების სწავლების სტრატეგია (HITS) რომელსაც მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილების შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მხარდაჭერას და გამოწვევას ყველა მოსწავლისთვის. სწავლება არ არის დიფერენცირებული, როცა მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ერთსა და იმავე დავალებას აძლევს და მათ საერთო კრიტერიუმებით აფასებს. დიფერენცირებული სწავლება ხორციელდება მაშინ, როდესაც მაწავლებელი გეგმავს გაკვეთილს იმგვარად, რომ სხვადასხვა საწყის წერტილში მყოფმა მოსწავლეებმა მიიღონ ინსტრუქცია, რომელიც საჭიროა მათი ზრდისა და წარმატებისთვის.

კარგი დიფერენცირებული სწავლების პროგრამა ნიშნავს მაღალი ხარისხის, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინსტრუქციას, რომელიც აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს აქტიური სწავლის განვითარების ზონაში და აქვს მკაფიო SMART (სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროზე დაფუძნებული)მიზნები.

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს ცვლილებას შინაარსში, პროცესსა და პროდუქტში.

შინაარსის კორექტირებით მასწავლებელი აწვდის სასწავლო გეგმის სხვადასხვა ნაწილს მოსწავლეს, იმის მიხედვით,თუ რას ისწავლიან ამ გაკვეთილზე.

გაკვეთილის დიფერენცირება პროცესის კორექტირებით როდესაც მასწავლებელი არეგულირებს გაკვეთილის პროცესს, იგი ცვლის მეთოდებს, რომლებსაც იყენებთ სწავლებისთვის, ეს შეიძლება იყოს მოსწავლეების ერთობრივი სწავლების, მკაფიო ინსტრუქციის , მოდელირებული მიდგომის ან მულტიმედიის გამოყენება.

პროცესის დიფერენცირება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შექმნას გაკვეთილი, რომელიც დაეხმარება ცალკეულ მოსწავლეებს მიაღწიოს სასურველ შდეგებს ისე, რომ მოერგოს მათ სპეციფიკურ საჭიროებებს.

გაკვეთილის პროდუქტის დიფერენცირება ;
როდესაც მასწავლებელი ცვლის გაკვეთილის პროდუქტს, იცვლება ასევე წარმატების კონკრეტულ კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის, რათა აჩვენონ რა ისწავლეს .

დიფერენცირებულ სწავლების სტრაგეგიებიდან ყველაზე ხშირად საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

რეაგირება ინტერვენციაზე (RTI).

ეს სტრატეგია მიჩნეულია ერთ-ერთ ეფექტურს საშუალებად, სწავლების ეს მრავალსაფეხუროვანი სისტემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს დაადგინოს ცალკეული მოსწავლის საჭიროება და მიაწოდოს დამატებითი ინსტრუქციები მოსწავლეებს.

პროცესის ეტაპები - „ მე ვაკეთებ, ჩვენ ვაკეთებთ, თქვენ აკეთებს“ -იძლევა დიფერენცირების მრავალგვარ შესაძლებლობას.

„მე ვაკეთებ“ ფრაზაში იგულისხმება, რომ მასწავლებელი მოდელირებით აჩვენებს ახალი ცოდნის გამოყენებას , მას შეუძლია შეაფასოს გაგების ზოგადი დონე, მიაწოდოს უკუკავშირი ჯგუფს , რათა უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერა კლასისთვის და დაგეგმოს მიზნობრივი ინტერვენციები.

მრავალჯერადი აქტივობა სწავლის დიფერენცირების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გზად არის მიჩნეული „პროდუქტის“ დიფერენცირება. მასწავლებელი აყალიბებს მრავალფეროვან აქვტივობებს და მოსწავლეებს აძლებს შესაძლებლობას იმუშაონ ერთსა და ინავე ცნებებსა და იდეებზე, მაგრამ ცოდნის სხვადასხვა დონეზე.

ამრიგად, მოსწავლეებს შუძლიათ იმუშაონ თავიანთი აქტიური განვითარების ზონაში და მასწავლებლის დახმარებით , თანდათან გადავიდნენ უფრო რთულ ამოცანაზე.

უკუკავშირი . უკუკავშირი გადამწყვეტ როლს თამაშობს დიფერენცირებაში, დროული და ქმედითუნარიანი გამოხმაურება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დროულად განსაზღვრონ შემდგომი ნაბიჯები, რომელიც საჭიროა ცოდის წინსვლისთვის.

შებრუნებული საკლასო ოთახი. ეს მოდელი იძლევა დიდ შესაძლებლობას დიფერენციაციისთვის, რადგან ის ათავისუფლებს საგაკვეთილო დროს, მასწავლებელს აძლევს მეტ შესაძლებლობას მოსწავლეებთან ურთიერთობისთვის, გააზრებული უკუკავშირისთვის .

დიფერენცირებული სწავლების ეფექტიანი გამოყენება ,ძირითადად, მაინც დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც , როგორ წესი, ყალიბდება მშობლებთან, თანატოლთან ,ზოგადად, გარემოსთან ურთიერთობით.

თამარ ონიანი
83-ე საჯარო სკოლის წამყვნი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა : ესგ

https://www.education.vic.gov.au/school/teachers/classrooms/Pages/approacheshitsdifferentiation.aspx